№ 244
პარასკევი, 10 ნოემბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 244
პარასკევი, 10 ნოემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

რადგან 29 ოქტომბერს არ შესდგა

**საგანგებო კრება**
**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა**

წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, იგი ხელ-მეორედ დანიშნულ იქმნა 13 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1, მოხსენება გამგეობისა დასამატებელის ხარჯების გადადების შესახებ.

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად.

3, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა

და 3, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(3—3)

## ახალი ამბავი

*** 8 ნოემბერს დილიდგან უკვე დაიწყო დეპეშათა მუშაობა კავკასიის რკინის გზის ყველა ადგილებში.

*** წრეულს დუშეთის მაზრის 1-ლ ნაწილში—დუშეთისა, მცხეთისა და სხვა მახლობელ ადგილებიდგან, გარდა ქსნის ხეობისა, სულ 35 კაცი გაიყვანეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

როგორც შევიტყეთ, მთავრობას განზრახვა თურმე აქვს წრეულს მოკრებილი ახალი ჯარის-კაცნი რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში დაგზავნოს. სულ მიწვეულნი იყვნენ წრეულს 300-დე ახლები და 40-დე კაცი წინა წლებიდგან იყვნენ დარჩენილნი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაშურის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 154 ვერსიდამ სადგურ ბელაგორამდე შესაძლებელია ცხენით სიარული, მხოლოდ დიდის გაჭირვებით. ადგილ-ადგილ მგზავრს მდინარეზედ უხდება გავლა. შორაპნის სადგურიდამ რკინის გზის ლიანდაგი ცალმხრივ რჩება და მგზავრი მიდის ვიწრო ბილიკით მთებზედ. ხოლო გვირაბიდამ დაწყებული 154 ვერსამდე შესაძლებელია ლიანდაგზედ სიარული. სადგურ წიფის რკინის გზის მახლობელ საყარაულოდგან იუწყებიან, რომ შვიდ ნოემბრიდგან კარგი დარები დაიჭირა და წიფის სადგურსა და გვირაბს შუა გაცხარებული მუშაობაა. აკეთებენ წყალდიდობისაგან გაფუჭებულს გზას. ამ ადგილას 650 კაცი მუშაობს. რკინის გზის მმართველობამ ოდესიდგან გამოიწერა ხე-ტყე დროებითი ხიდების გასაკეთებლად. ამ თვის ათიდგან წიფის სადგურამდე ტფილისიდგან მუშების მატარებელი დაიწყებს მიმოსვლას. ამ დრომდე გაფუჭებული ადგილები შეკეთებულ იქნება წიფის სადგურამდე და საჭირო მასალას მატარებლით ჰზიდავენ. რკინის გზის სახელოსნოებში დღე და ღამე მუშაობენ საჭირო იარაღის მოსამზადებლად. ზედმიწევნითი ანგარიშით ამიერ-კავკასიის გაფუჭებული რკინის გზის შესაკეთებლად მილიონ-ნახევარი მანეთი იქნება საჭირო. რადგანაც რკინის გზის მახლობელი გზა-ტკეცილებიც ზოგიერთ ადგილას წყალმა გააფუჭა და ესეც ერთის მხრივ აფერხებს რკინის გზის შეკეთებას, ამიტომ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ვედენეევმა მიჰმართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახდინოს განკარგულება ზემოხსენებული გზატკეცილების შესაკეთებლად.

*** იმედი აქვთ სადგ. წიფასა და ბელაგორს შუა დღეიდგან დაიწყონ მოძრაობა მატარებლებმა.

*** ქვემო-მაჩხაანის დეპოს გარდასაცემად მივიღეთ გიორგი სალარიძისაგან ათი მანეთი საწევრო ფული.

*** მომავალ 1896 წლისათვის კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი თხოულობს 178,508 მან.; ამ ფულში ჩათვლილია აგრეთვე ხარჯი, რომელიც დასჭირდება კომიტეტს საქარის სამყნობისა და საცდელ ვენახების შესანახად, სულ 21,419 მან. მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა აღემატება წრევანდელ წლის ხარჯთ-აღრიცხვას 70 ათასი მანეთით, რაც აიხსნება მით, რომ ფილოქსერით დაზიანებულმა ადგილმაც იმატა. („კავკ. მეურნე“).

*** კარაკალიდგან „ზაკ. ობოზ.“-ეს სწერენ: „7 ოქტომბერს აქაურს საადამყოფოში მოვიდა საექიმოდ სანგუდალის საყარაულოს ყაზახი, რომელიც ვეფხვს დაეგლიჯა. თურმე ეს ყაზახი ზემოხსენებულ საყარაულოს მახლობლად ცხვრებს აძოვებდა; უცებ ფარას დაერია ვეფხვი და ცხვრებს დარჩობა დაუწყო. ყაზახმა ესროლა თოფი, მაგრამ ააცდინა. მაშინ ვეფხვმა გაანება ცხვრებს თავი და იმისთანა სისწრაფით ეცა ყაზახს, რომ მან თოფის გატენა ვერც-კი მოასწრო. მარცხენა ხელი ყაზახისა ნადირმა პირში ჩაიდო. ყაზახმა თოფს თავი გაანება და ისეთის სიძლიერით წაუჭირა მარჯვენა ხელი ვეფხვს ყელში, რომ ვეფხვმა პირი გაუშვა მისს მარცხენა ხელს. ასე იბრძოლეს თურმე კარგა ხანი; ბოლოს კაცი მოერევოდა ნადირს და დაერჩო იგი.

*** ვარანცოვის ძეგლთან რიყის ქუჩით ავლაბრისაკენ წასასვლელად თითქმის ყოველთვის ნახავთ ოცს, ოც-და-ათს კაცს, რომელნიც დგანან და თითქმის საათ-ნახევარი უცდიან კონკას. კიდევ კარგი, თუ როცა კონკა მოვა ყველანი დაეტივნენ მასზედ. ხშირად იმისთანა ვიწროობაა კონკაზედ, რომ კაცს ბევრით ურჩევნია ფეხით გაიაროს. ამდენივე ხანი უნდება კონკით წასვლის მსურველს იცადოს ლვინის რიგთან, ავლაბარში, ორთაჭალისაკენ წასასვლელად. ზაფხულში კიდევ როგორმე მოურიგდება კაცი ამისთანა გარემოებას, მაგრამ ზამთარში-კი სწორედ შეუძლებელია ორი საათი სიცივეში იდგეს კაცი და კონკას ელოდებოდეს. კარგს

## ფელეტონი

**იჟვიანი.**

(ანტუან ალბალისა).

(დასასრული *).

საღამოს, როცა მუშები ჩონგურის ხმაზედ ცეკვავდნენ, როზალიმ მხარზედ ხელები დაადო ქმარს და შეშინებულის ხმით უთხრა:

— შენი ჭირიმე, ერთად ვითამაშოთ!

პიერმა ხმა-ამოუღებლივ წაავლო წელში ხელი და გააქანა, როზალ აღტაცებული იყო ასეთის ბედნიერებით.

როცა ცეკვა-თამაში გათავდა და ცეცხლიც ჩაქრა, მუშები თავისს ბინისაკენ გაეშურნენ, ზოგი წყლის მოსატანად წავიდა. როზალიმ სურას წაავლო ხელი და ქმარს უთხრა:

— მე ჭაზედ წავალ, ხვალისათვის წყალს მოვიმზადებ.

— მეც გამოგყვები,—მიუგო პიერმა.

ცოლ-ქმარნი ერთად მიდიოდნენ გზის უღელ-ტეხილამდე რომელიც ბორცვს უვლიდა. ქალს ძალიან აწუხებდა პიერის სიჩუმე. მთვარიან ღამეში ისინი მიუახლოვდნენ მუხის აჭრელებულს ჩრდილს; აქ-კი პიერი შეჩერდა, მეტის-მეტ სიბრაზისაგან პირისახე დალმანჭოდა. ერთბაშად გულზედ ხელები დაიკრიბა და ენის ბორძიკით უთხრა ცოლს:

— მაშ შენა გგონია, რომ მე არაფერი ვიცი? იქნება ჰფიქრობდე, რომ შეგრჩეს?

როზალი შიშისაგან მთლად გაფითრდა, სურა მიწაზედ დადგა და ხელები ძირს დაუშვა.

— რა არის, რა ამბავია? ეკითხებოდა საწყალი. ამ ხმაზედ როზალიმ უკან დაიხია. გაჯავრებულმა პიერმა ორთავ ხელები თავში წაივლო და ჯიჯგნა დაუწყო, რის გამოც მისს ახეს მხეცური გამომეტყველება დაეტყო.

— ის დამემართა, რომ ამდენი მოთმენა მეყოფა! მიუგო პიერმა.— მეტს ვეღარ ავიტან, ვერა! მეტის მოთმენა არ შემიძლია, არა! განრისხებულმა პიერმა ცოლს ისეთ-ნაირად დაუჭირა ხელები, რომ კინაღამ და ამტვრია.

— მე დაგინახეთ, რომ თქვენ ერთად მიდიოდით... გესმის თუ არა? განაგრძო პიერმა.

— მე ტყეში დავიმალე. შენ გახარებული იყავი, მას უღიმოდი. ხომ ხედავ, რომ ვიცი ყველაფერი. თქვენ ერთმანეთი შეიპირეთ. ამდენს ხანს მე შეიძლება შევმცდარიყავ, ეხლა-კი დარწმუნებული ვარ. ამის დასამტკიცებელი საბუთი მაქვს. მე მინდა ყველაფერი თვითონ მიამბო და გამომიტყდე! და იმედია კიდეც გამომიტყდები. გამოტყდი, გესმის?!

როზალი სტიროდა, იკლაკნებოდა და სცდილობდა როგორმე ხელები გაეთავისუფლებინა.

იმ საღამოს პიერმა როზალის ისე მოულოდნელად დასცა თავ-ზარი, რომ ამ საბრალო ქალს ქვითინი ყელიდგან არ ამოსდიოდა, გულ-მკერდს აწვებოდა და ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

— დამნაშავე არა ვარ... ეგ ტყუილია... ღმერთს გეფიცები! ეუბნებოდა როზალი.

პიერი კიდევ მივარდა მას და მიაყვირა:

— მატყუარა!

როზალი პიერს ხელიდგან გაუსხლტა და შემდეგ, როცა კიდევ შეაცქერდა, დაინახა, რომ მოთმინებიდგან გამოსულს პიერს სახე გამოსცვლოდა და თვალები ანთებული ჰქონდა. თავ-ზარ-დაცემული ქალი გაიქცა და თანაც ჰკიოდა:

— ნუ მომკლავ, პიერ, ნუ მომკლავ!..

პიერი უკან გამოუდგა.

— ვერ წამიხვალ! მისძახოდა პიერი,—უნდა დაგარჩო! შენს ცქერას შენი დარჩობა მირჩევნია... პიერი ჭასთან დაეწია ცოლს და ერთი მუშტი დაარტყა სწორედ იმ დროს, როდესაც ქალი მუხლ-მოყრილი მის წინ დაეცა. თმა-გაწეწილი როზალი მიწასთან გასწორებულ-გასრესილ ქმნილებათ სჩანდა. სასოწარკვეთილმა მსხვერპლმა თავი უკან გადიგდო და სცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ქმრის მუშტები აეცდინა. მისი მომაკვდავი სახე პატივებას თხოულობდა, მისი ტუჩები შიშისაგან მოკუმულიყო. იგი ირჩობოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მისუსტებულის ხმით:

— ნუ მომკლავ, პიერ... ნუ მომკლავ!

პიერისათვის საკმაო იყო ერთი ხელის განძრევა, რომ როზალი ჭაში ჩაეგდო. სისხლი ძალზედ მოაწვა და გრძნობდა, რომ მის თავს ზარივით გუგუნი გაჰქონდა. მერე როზალის კაბაში წაავლო ხელი, ზეზე აიყვანა და დაიღრიალა.

— კმარა! ამაებს ბოლო უნდა მოვუღო. მე შენ მიღალატე! ეხლა-კი უნდა მოკვდე!..

მაშინ როზალი მიხვდა, რომ პიერი ჭაში ჩაგდებას უპირებდა და ზარდაცემულმა საშინლად დაიკივლა. მერე ფეხები წელზე შემოახვია ქმარს და ხელებით კისერზედ ჩამოეკიდა. იმედ-დაკარგულ მომაკვდავ ადამიანის კივილი ლოკომოტივის სტვენასავით ეცა პიერს ყურებში. ერთიმეორეზედ გულსაკლავი სიტყვები სულს უწუხებდა მას.

—შემიბრალე... შემიბრალე... პიერ... ჩემო პიერ... ნუ მომკლავ! ევედრებოდა როზალი.

კიდევ გაისმა ჰაერში გულ-ჩამთუთქავი წივილ-კივილი, რომელიც მისაშველებლად იწვევდა მუშებს, შეშინებული მუშები კარვებიდგან გარედ გამოცვივდნენ.

მაგრამ პიერი ცოლზედ ღონიერი იყო, ამისათვის მან ადვილად მოიცილა მისი ხელები და შემდეგ მას ხელი ჰკრა ჭაში გადასაგდებად. როზალიმ ხელი წაავლო რკინის ღერძს, რომელიც წყლის ამოსაღებ ჯარაში იყო გატარებული. პიერმა იგი იქაც მოაცილა. როზალის ერთი ფეხი უფსკრულს ჩაეკიდა. ცალი ბაშმაკი კიდეც გასძვრა და ჭაში ჩავარდა.

პიერმა ერთი კიდევ ჰკრა ხელი როზალის და შემაძრწუნებელი კივილი უფსკრულმა შთანთქა.

უკანასკნელად პიერმა დაინახა, რომ როზალი ცალის ხელით თოკს წაეპოტინა, ძირს გაისმა წყლის ჭყაპანი, შემდეგ მიწყნარდა; არ ისმოდა არც ოხვრა, აღარც კვნესა...

თბილი ღამე იყო. ხეები უმოძრაოდ იდგნენ მთვარის სინათლეში, რომლის შუქით გარემოცულიყო ვაკე.

პიერს უკვირდა ბრძოლისა და წივილ-კივილის შემდეგ ბუნების სიჩუმე. იგი ჯერ მძიმედ ითქვამდა სულს, ირჩობოდა, მერმე შუბლი მოიწმინდა, ამოიოხრა და იმ ადგილს მოშორდა.

— მორჩა და გათავდა. იგი მკვდარის. მოვისვენე. ამბობდა თავისთვის პიერი.

იგი ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგების ხმას, რომლებმაც მსხვერპლის კივილზედ მოირბინეს. მან ხელები ჯიბეში ჩაიწყო, დაიძრა იმ ადგილიდგან და თანაც იმ ხმაზედ სტვენდა, რა ხმაზედაც იმ საღამოს ჩონგურს უკრავდნენ. ეს ხმა რაღაც მიზეზის გამო მოაგონდა. უეცრად დამნაშავე შესდგა, განცვიფრებული შეაცქერდა შორიდგან შუქ-მფენარე მთვარეს, რომელიც ცაში უძრავად იდგა.

პიერი ცდილობდა ძალა მოეკრიბა, რადგანაც მუხლები უკან კალებდა. ღელვისაგან თრთოდა. თავში სისხლი მოაწვა და ამასთანავე თითქოს ვიღაც ყურში ჩასჩურჩულებდა: კაცის მკვლელო, კაცის მკვლელოო! იგი იძულებული შეიქნა მორზედ ჩამომჯდარიყო. მერმედ წელში მოიხარა, თავი ჩაქინდრა და ხელებით მიწას დაებჯინა. შიშისგან გონება მიხდილმა ხმა-მაღლა დაიყვირა:

— მე მოვკალ იგი!..

დიაღ, მე ნამდვილად გავგიჟდი, სთქვა პიერმა. მერმედ თავისს თავს დაეკითხა:

— მაშ გიჟები ევეთები არიან?

*) იხ. „ივერია“ № 243.

იზამდნენ, ვისაც ჯერ არ(ა.)ს, ორს თუ არა, ერთს ვაგონს მაინც კიდევ მოუმატებდნენ ამ ქუჩაზედ.

*** რადგანაც წელს საქარის სამყნობს დარჩა და აღარ დასჭირდება მომავალ წლისათვისაც რქა და ნერგი ამერიკის ვაზისა, საფილოქსერო კომიტეტმა გარდასწყვიტა—მიჰყიდოს ქუთაისის გუბერნიის მემამულეთ ათასი რქა ხუთ მანეთად, ათასი ნერგი 12 მ. და ათ შაურად. ხოლო ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს, ქუთაისის საცდელ ვენახს და სასოფლო სასწავლებელთა საცდელ ვენახებს ნერგი უფასოდ მიეცემათ. ვინც იყიდის, ან ვისაც დაეთმობა ამერიკის ნერგი, დარიგებასაც იქვე მისცემენ, თუ როგორ უნდა მისი მოხმარება („კავკ. მეურ.“).

*** ჩვენ გვატყობინებენ იმერეთიდამ, რომ საჩხერესა და მახლობელ სოფლებში წისქვილები მთლად ერთიანად წაულეკია წყალს. ხალხი დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი, რადგან სიმინდი ვისაც აქვს, იმის დაფქვაც ვერ მოუხერხებიათ. იმერეთიდგან ტფილისში გადმოსვლა მარტო გომის სადგურიდამ შეიძლება, მაგრამ სადგურამდისაც მგზავრობა მეტის მეტი ძნელია და სახიფათო.

*** როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ჭიათურის შტო მთლად ერთიანად წაულეკია წყალს. თითქოს არასოდეს არ ყოფილიყოს იქ რკინის გზის ლიანდაგი. ეხლა რკინის გზის მმართველობა აპირებს ფართო ლიანდაგიანი რკინის გზის დაგებას. მანამდის-კი ხალხს დიდი შეღავათი მიეცა ამ გაჭირვების დროს, რადგან ქვა-გუნდის გადატანა ისევ ურმით დაიწყება და ხალხში ფული დატრიალდება. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ —დიდი ხანია უთქვამთ.

## შევსება ერთის ამბისა.

„კვალის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნის კარიჭაშვილისა, რომლითაც მას ჰსურს შეასწოროს და შეავსოს ამბავი ბანკის ბალში მომხდარ საიუბილეო კრებისა წარსულს ივნისში, რომელიც მეტად ყრუდ და ბუნდად იყო მოხსენებული იმავე გაზეთის წინანდელს ნომერში. სამწუხაროდ, ბ-ნი კარიჭაშვილისათვის ხსოვნას ცოტათი უმტყუნებია და მისი შესწორება თავისს მხრივ ითხოვს შესწორებას და შევსებას.

გამოსთქვა თუ არა აკაკი როსტომის ძე წერეთელმა აზრი შესახებ ჩვენის სახელოვანი პოეტის თავ. რაფიელის იუბილეს გარდახდისა, წერა-კითხვის საზოგადოებაში შემოიტანა სამმა პირმა, მოხსენებულმა ბ-ნი კარიჭაშვილის წერილში (ბ-ნმა გუნიამ, ვ. სულხანიშვილმა და ნ. ჯორჯაძემ) თხოვნა, რომ გამგეობას ეკისრნა იუბილეს გამართვა. გამგეობამ დანიშნა საგანგებო კრება ამ საგნის განსახილველად, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ეს სამნი პირნიცა. ამ კრებაზედ მე მივაქციე გამგეობის ყურადღება შემდეგს ოთხს გარემოებას. 1) წერა-კითხვის საზოგადოების წესდება ნებას არ აძლევს გამგეობას მართოს იუბილეები, 2) რუსეთში არც ერთი იუბილე არ გამართულა წერა-კითხვის კომიტეტების თაოსნობით, თუმცა ამ გვარი კომიტეტი სამი-ოთხი მოქმედებს აგერ ოც-და-ათის წლის განმავლობაში; 3) წერა-კითხვის კომიტეტებს თვით რუსეთშიაც ვერ უცქერიან კაი თვალით მაშინაც-კი, როდესაც იგინი სასტიკად იცავენ კანონიერებას; ამ წლის დამდეგში ამ კომიტეტებს მოუსპეს თვით მდგომარეობა და დაუმორჩილეს განათლების სამინისტროსა; 4) ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება ერთად-ერთი საყოველთაო დაწესებულებაა, რომელიც შემდეგში დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს სამშობლოსა, როცა გარემოებანი იცვლებიან; ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ თვალის სინათლესავით მისი არსებობა და ბოროტს ენას არ მივცეთ არავითარი საბუთი უკანონობის ჩრდილი მიაყენოს მის მოქმედებასა.

ამ მოსაზრების ძალით მე ვურჩიე სხდომაზედ დამსწრე პირთა ეკისრნათ იუბილეს გამართვა არა როგორც გამგეობის წევრთა, არამედ როგორც კერძო ქართველთ. გამგეობა დამეთანხმა და მე თვითონ, როგორც კერძო პირს, დამავალა—მომეწვია ყველა რედაქციები ქართველი ჟურნალ-გაზეთებისა, ყველა ქართულის საზოგადოებრივი დაწესებულების წარმომადგენელნი და შემედგინა კრება, რომელზედაც უნდა აერჩიათ საიუბილეო კომიტეტი; მე საჭიროდ ჩავთვალე, რომ მეორე პირსაც ჰქონოდა მონაწილეობა ამ მოწვევაში და დავასახელე ბ-ნი კარიჭაშვილი, რომელმაც დაუზარებლად იკისრა ეს მონაწილეობა. იმავე სხდომაზედ დავწერე წერილი მოწვევისა, ჩავაბარე ბ-ნს კარიჭაშვილს და ვთხოვე, რაც შეიძლება ჩქარა გადაეწერინებინა ოციოდე ცალი. ეს მოწვევა გადაიწერა არა წერა-კითხვის საზოგადოების ბლანკებზედ, არამედ უბრალო ფოსტის ქაღალდზედ და ორივეს ხელის მოწერით გაეგზავნა სხვა-და-სხვა პირსა.

კრება უნდა მომხდარიყო სააზნაურო ბანკის სადგომში. მაგრამ როცა დანიშნულს კვირა საღამოზედ ადრიანად მივედი ბანკში, იგი დაკეტილი დამხვდა, რადგანაც ორივეს დაგვავიწყდა დროზედ აგვეღო ნებართვა ბანკის მმართველობისაგან. მე იძულებული შევიქენი ბანკის სასტუმროს პატრონისათვის მიმემართნა და მან განკარგულება მოახდინა, რათა სამხრეთის კუთხე სასტუმროსი მთლად ჩვენთვის დაეთმოთ და სტოლებიც მოეწყოთ სხდომისათვის. ამ ადგილას მივიხმე ყველა, ვინც-კი მოწვეულ იქმნა და მოვიდა და ცოტა კიდეც გავუმასპინძლდი, როგორც სასტუმროს წესი მოითხოვდა. თავი მოიყარა ოციოდე განათლებულმა ქართველმა, რომელთა შორის იყო სამი წევრი „ივერიის“ რედაქციისა, სახელდობრ: დავით მიქელაძე, გ. ლასხიშვილი და გრიგ. აბაშიძე. მოკლე ბაასის შემდეგ კრება დაადგა იმ გარდაწყვეტილებასა, რომ საჭიროა ახლავე ამოვირჩიოთ კომიტეტი, რომელმაც უნდა შეკრიბოს ყველა საიუბილეო ცნობები და შეიმუშაოს პროგრამა ამ პირველის ჩვენი სალიტერატურო დღესასწაულისა. მოისურვეს ჩემი ამორჩევა კომიტეტის წევრად და თავმჯდომარედაც; მაგრამ მე მოვახსენე: „ამ ცოტას ხანში ტფილისი უნდა დავსტოვო და მთელი ზაფხული სოფლად გავატარო, ნუ ამომირჩევთ ნურც მე და ნურც იმისთანა პირებსა, რომელნიც ზაფხულობით ტფილისში ვერ იცხოვრებენ. ძლიერ საჭიროა პროექტი დღესასწაულისა შემუშავებული იქმნას შემოდგომამდის, რომ ადრიანადვე მზად ვიყვეთ ყოველი მხრივ. თვით ამ კრებაზედ საკმარისად არიან პირნი, რომელნიც ზაფხულს აქ გაატარებენ და რომელთაც შეუძლიანთ საქმე მარჯვედ წარმართონ“. კრებამ ამის შემდეგ კომიტეტის წევრებად ამოირჩია ბ-ნნი: გ. წერეთელი, პეტრე ყიფიანი და კოტე მესხი.

ამის შემდეგ მე არ დავსწრებივარ აღარც ერთს საიუბილეო კრებას და მონაწილეობა არ მიმიღია.

მხოლოდ ნადიმისათვის მქონდა მოფიქრებული სიტყვა; მაგრამ ეს ნადიმი ისე სწრაფად და მოულოდნელად გაათავეს, რომ ბევრს დარჩა დამზადებული სიტყვა წარმოუთქმელად ჩემი სიტყვა მინდოდა დამეწყო იმ პოეტური ნადიმიდგან, რომელიც დასურათებული აქვს ტურგენევს ერთს თავის პროზით დაწერილ ლექსში (стихотворенія въ прозѣ) და რომელიც ზეცაში გაუმართა უზენაესმა არსებამ სათნოებათა კრებულსა. ამ ნადიმზედ სათნოებანი გამოცხადნენ მანდილოსანთა ტანისამოსში და ყველა ერთმანეთს მიეგება, როგორც კარგი ნაცნობი; მხოლოდ იუცხოვეს ერთმანეთი ორმა მანდილოსანმა: მადლმა (благодѣяніе) და მადლობამ (благодарность). როცა უზენაესმა ჰკითხა: ნუ თუ თქვენ ერთმანეთს არ იცნობთო, პასუხად

---

რაკი თავი გიჟათ ჩასთვალა, პიერმა გარდასწყვიტა არ დაძრულიყო იმ ადგილიდგან, მინამ საგიჟეთში არ წაიყვანდნენ.

უცბად იგი ფეხზედ წამოდგა, მუშტები მოიღერა, ცალი ფეხი წინ წადგა და საშინლად ამოიკვნესა. მას მოაგონდა როზალი, წარმოიდგინა, რომ იგი ჭაში ჩამრჩვალია, მკვდარია, პირი წყლით ექნება სავსე და ხელფეხი გაშეშებული. პიერს უნდოდა როზალის მიშველებოდა, მაგრამ ერთბაშად შესდგა, ხეს მიეყუდა და მიწას დააცქერდა.

— რისთვის გავიქცე? ეხლა გვიანდაა, მკვდარია.

მაგრამ რაღაც უჩინარი ძალა ჭისკენ იზიდავდა მას. რამდენადაც იგი ჭას უახლოვდებოდა, იმდენად ნაბიჯს უკლებდა, არე-მარეს ყურს უგდებდა, მაგრამ გული ისე უცემდა, რომ აღარაფერი ესმოდა იმ მიჩუმებულ ღამეში, რომლის მყუდროებას უფრო აძლიერებდა ამ დროს უდაბური ტყე. მივიდა თუ არა ჭასთან, პიერმა შიგ ჩაიხედა; იქიდგან მოესმა რაღაც ხმაურობა, რომელმაც მას შიშის ზარი დასცა. უფსკრულიდგან მოესმა მომაკვდავ კაცის მისუსტებული და ხანგრძლივი კვნესა. მან იქითკენ ყური მიაპყრო და ოხვრას მოუმატა. მერმედ ენის ბორძიკით სულელურად ჩასძახა:

— ლალი...ლალი..

ამ დროს პიერს რაღაც ხმაურობა შემოესმა და უკან მოიხედა.

— აქეთ,აქეთ ჭისკენ! ისიც აქ არის!

ეს იყო ხმა ამხანაგებისა, რომლებიც მასთან მირბოდნენ. შორიდგანვე სჩანდა, რომ ისინი პერანგის ამარა, უქუდოთ მორბოდნენ და მათ წითელ იუბკიანი ქალები თან მოსდევდნენ.

მაშინ პიერი ერთბაშად გამოერკვა. დაავიწყდა იჭვიანობა, აღარ ახსოვდა, რისთვის მოჰკლა როზალი. იგი ახლა მხოლოდ ცოლის გადარჩენას ფიქრობდა. იმისი აზრი მარტო იმისკენ იყო მიპყრობილი, რომ როზალი კვლავ ენახა, მისი ხმა გაეგონა. მან ხელების ქნევა დაიწყო და თანაც ჰყვიროდა:

— კიბე! კიბე! მე ჩავალ!..

ამ დროს მენახშირეები მოცვივდნენ, პიერს შემოეხვივნენ და ცხვირის წინ მუშტებს უღერდნენ.

— შე ბოროტო, შენ ჩააგდე ჭაში განა?

კარგა ხანია ამბობდი, რომ მისი მოკვლა გინდოდა! ეუბნებოდნენ ამხანაგები.

პიერმა უკან დაიხია და გიჟივით გადიხარხარა.

მე-ე? მე მოვკალ? ეკითხებოდა იგი.

თოკი მოიტანეს, ჯარა დაატრიალეს და ორი მუშა ჭაში ჩაუშვეს. მთელ ვაკეს ჯაჭვის ჩხარუნი გაისმა, რომელსაც ოცი მუშა ლონივრად ეწეოდა. როცა მუშების ხელთ გამოჩნდა საცოდავი გვამი, სველ ტანისამოსში გახვეული, რომლისგანაც წვიმასებრ წყალი ჩამოსდიოდა, ბრაზ-მორეულმა ამხანაგებმა ყვირილი დაუწყეს პიერს, როდესაც იგი როზალის მივარდა და გულ-ამოსკვნით დაიწყო ტირილი: „ლალი! ჩემო ლალიო!“ მაგრამ მის ლალის აღარაფერი ესმოდა. როზალის ხელებს მოძრაობა დაჰკარგვოდა, უკან [illegible]დაგდებულ თავს მკვდრის ფერი ედო და ყოველი მისი სხეული ხელიდგან უსხლტებოდა მუშებს. როზალის ტუჩებს მარტო ეხლა არ ეტყობოდა ღიმილი. დაინახეს თუ არა როზალი, განრისხებული მუშები პიერს მისცვივდნენ:

'მე ბოროტის მომქმედო! კაცის მკვლელო! შენ მოჰკალ იგი! შენ! შენ!

ხის ტოტებისაგან საკაცე გააკეთეს საჩქაროთ, ზედ დამრჩვალი ქალი დასდეს და ბინისაკენ წაიღეს. პიერი, რომელსაც მუშები თვალ-ყურს არ აშორებდნენ, საკაცეს მიჰყვებოდნენ. გრძელი შავი თმა როზალისა ხან-და-ხან მიწაზე დაეშვებოდა და პიერი იძულებული იყო დრო-გამოშვებით შემდგარიყო, რადგანაც ფეხის დადგმისა ეშინოდა. როზალი კარავში მიიყვანეს, წამალი მიაშველეს მაშინვე და მერმედ საბნებით გაათბეს, რომლის შემდეგაც ის მოსულიერდა.

როზალიმ თვალები გაახილა და გაჰკვირდა, როცა ფარნის სინათლეზე თავის ახლოს ბევრი ხალხი დაინახა. იმათ კითხვა დაუწყეს, აგონებდნენ ჭას, ქმართან ბრძოლას, მისს წივილ-კივილს. მან სუყველაფერი მოიგონა, წარმოიდგინა საშინელი სანახაობა და ყველაზე უწინ გულში ის გაიფიქრა,—პიერს ცუდი ხომ არა შეემთხვა-რაო. როზალიმ თვალი გადაავლო ხალხს და ცდილობდა მუშებში თავისი ქმარი დაენახა, მაგრამ რაკი ვერ ნახა, წარბები შეიხუშა და შეწუხებულმა წყნარად ამოიკვნესა: „პიერ!“ პიერის ხსენებაზე მუშებმა მუქრობა დაუწყეს იმ მხეცს, რომლის იჭვიანობას თვითონვე უწყობდნენ ხელს და რომლის დანახვა-კი ეჯავრებოდათ ეხლა. [illegible] მუშები ყვირილით ეკითხებოდნენ როზალის:

ეს ის არის, არა... შენ რომ ჭაში ჩაგაგდო? ეგ საძაგელი, ეგა! მაგრამ შენ დამშვიდდი. ის ჩვენ ველარ გაგვექცევა. ხვალ ჟანდარმები წაიყვანენ. როზალის სახეზე შიში ეტყობოდა. იგი ფიქრობდა, ვაი თუ პიერს რიამე უბედურება შეემთხვესო. მეგობარი ქალები როზალის ტანს უზელდნენ, რომელიც სიცივისაგან მთლად კანკალებდა. ბოლოს საბრალო ქალმა ოდნავ გაიღიმა და ხმა დაბლა წაიჩურჩულა:

— არა, მას არ ჩავუგდივარ ჭაში. მე თვითონ... თვითონ მე უბედური ვიყავ.. თავის მოკვლა მინდოდა... მას ნუ დასჯით.. იგი ჩემი ქმარია, ჩემი პიერია!..

როზალიმ მიიხედ-მოიხედა და დაიძახა:

— პიერ!

პიერი მის წინ მუხლ-მოყრილი დაეცა. მას პირზე ხელები მიეფარებინა და ბავშვივით სტიროდა. დიდხანს შეჰყურებდა იგი როზალის და იმ ცქერაში იხატებოდა სიყვარული.... ქვითინმა მთელი მისი არსება შეარყია და სინიდისის ქენჯნა მოსვენებას არ აძლევდა. იგი იტანჯებოდა სულით და ხორცით.

მაგრამ როდესაც როზალი დაელაპარაკა, როდესაც ამ ქალის ბაგე-ტუჩებმა მისი პატივება წარმოსთქვა, მაშინ პიერმა იგრძნო სიღრმე იმ გულ-უბრყვილო სინაზისა, რომელიც უწინ ვერ შეემჩნია და რომელსაც იგი ხშირად შეურაცხყოფას აყენებდა. ნაცვლად შურისძიებისა და დასჯისა როზალიმ აპა-[illegible] ხსნა იგი. პიერი, რომელმაც სასიკვდინეთ გამოიმეტა. როზალის უნდოდა უწინდებურად ჰყვარებოდა პიერი, ამისათვის ყველაფერი აპატივა, რადგანაც მარტო ის უყვარდა და სულ მუდამ იმაზედ ფიქრობდა... პიერი იძლია, ტირილით ირჩევოდა. არ იცოდა რა ეთქვა, რა პასუხი გაეცა. იგი მხოლოდ სტიროდა და ჰყლაპავდა ცრემლთა დაუშრეტელ ნაკადულს, რომელშიაც სამუდამოდ განქრა მისი რისხვა და იჭვიანობა. პიერი ლოგინთან მივიდა, ცოლს თავზედ ხელი მოჰხვია და სახეში შეაცქერდა. უცქერდა მისს ტუჩებს, წამწამს, ნიკაპს, თითქოს თავისს დღეში არ ენახა. იქ მდგომ მუშებს და დედაკაცებს პიერი შეეცოდათ, რომელიც გვერდით უჯდა თავისს უბედურ ცოლს, ქვითინებდა და ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდა:

— ლალი... ლალიო...

როზალიც სტიროდა და წყნარად ამბობდა:

— პიერ... ჩემო პიერო!..

—

პიერს ძვირად დაუჯდა ჭკუის შეძენა, მაგრამ ამ დღიდგან მოკიდებული ჭეშმარიტის სიყვარულით შეუყვარდა როზალი. მან დაიფიცა, რომ იჭვიანობას გულიდგან ამოიღებს,— და კიდეც აასრულა. როზალიმ სამუშაოდ წასვლა შეიძლო მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. ამ დროს პიერი ისე თავგანწირულად უვლიდა როზალის, რომ არავის აზრადაც არ მოსვლია მისთვის ეჩივლათ.

და კარგადაც მოიქცნენ, რადგანაც ამ უბედურობის შემდეგ იგი საუკეთესო ქმრად ითვლებოდა. წარსულს რომ მოიგონებს, პიერი ამბობს ხოლმე: „ხან-და-ხან ჭკუაზედ ვიშლებოდიო.“

დარუბანდელი ქართველი.

ქ. დარუბანდი, 1 ნოემბერი.

მიიღო: „დასაბამიდგან სოფლისა ჩვენ ერთმანეთს ერთხელაც არსად შევხვედრივართო“. ამ ნადიმიდგან უნდა გადმოვსცულიყავ ჩვენს ნადიმზედ და დამედგინა ის აზრი, რომ მადლს უმადურობა მოსდევს ხშირად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაცა; მაგრამ ქართველი ერი-კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურებასა და ყველა პატარა ერს, მის მფარველობის ქვეშ შეხიზნულსა, ერთი ათად გადაუხდიდა ხოლმე მცირეოდენს სიკეთესაც კი და ანიჭებდა მათ სრულს თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი ჩვენ-კი სხვა ნაირად მოგვეპყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა, რის გამოც გუშინ პირველნი დღეს შევიქენით უკანასკნელნი, გუშინდელი მაღალი ლობე დღეს დაბალ ლობედ გადავიქეცით. შემდეგ უნდა განმემარტნა, თუ რა ადგილი უჭირავს მამულიშვილთა გუნდში, შავ ბედთან ბრძოლაში იმ მშვიდობიანს არწივს ქართულის პოეზიისას, რომელსაც რაფიელი ჰქვიან, რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს და ექმნება მისს საუკეთესო ლექსებს, მისს ქართულს კაცთ-მოყვარეობას მოზარდი თაობისა და ხალხის აღზრდაში; მერმე უნდა შევხებოდი ჩვენი პოეზიის სხვა არწივების ღვაწლსა და ღრმა კვალსა, რომელსაც ისინი ავლებენ ქართველთა არსებობაში, და გამეთავებინა მით, თუ რა დიდი მხნეობა, დაუძინებელი ბრძოლა არსებობისათვის, დიდი სიფრთხილე, დიდი წინ-დახედულობა და დიდი პოლიტიკური ტაქტიკაა საჭირო ჩვენთვის, რათა თავი დავაღწიოთ საშინელს კრიზისს, რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, გავთანასწორდეთ ყოველი უფლებით ჩვენის სახელმწიფოს მთავარ ერთან და შავი ბედი თეთრ ბედად ვაქციოთ.

იაკობ გოგებაშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

მომავალ წელს სასურსათო თანხა მთელის იმპერიისა თერთმეტ მილიონ მან. შეადგენს. ამ ფულიდამ, სხვათა შორის, განზრახულიაო, ამბობს „ნოვ. ვრ.“, შემდეგი დაიხარჯოს:

„მიეცეს ორი მილიონი მან. მინდვრების მოსათესად და ხალხის გამოსაკვებათ იმ გუბერნიებში, სადაც ადგილობრივი სასურსათო თანხა დახარჯულ იქნება. გარდა ამისა გარდაწყვეტილია 250 ათასი მან. გარდიდვას ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარად იმ გუბერნიებში, სადაც ადგილობრივი თანხა გამოილევა და 100 ათასიც იმ ვალის გარდასახადათ, რომელიც დაედო იმ გლეხთ, რომელთ ცეცხლისაგან დაზარალების გამო სესხი მისცეს სასურსათო თანხიდამ.“

წრევანდელი წელიწადი უბედური შეიქნა ჩვენის ქვეყნისათვის: კახეთში ღვინის მოუსავლობაა; საქართველოს დანარჩენ ადგილებში პური და სიმინდიც ძლიერ ნაკლებად მოვიდა; ახლა ამ ნიაღვრებმა დიდად დააზარალეს ქვეყანა. ქუთაისისა და ნამეტურ ტფილისის გუბერნიას აქვთ თავ-თავიანთი სასურსათო თანხა. „ნოვ. ვრ.“-ს ცნობიდამ სჩანს, რომ საიმპერიო თანხაში 11 მილიონი მანეთიც არის. ასე რომ, თუ მთავრობამ მიაქცია ყურადღება ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას, მას წელს შეძლებაცა აქვს დახმარებისა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— „რუსეთში ერთს სოფელში, რომელსაც „Рыбняя Слобода“ ჰქვიან, იქაურ მკვიდრთ საზოგადო დუქანი გაუღიათ იმ აზრით, რომ წურბელა-ვაჭრების ხელიდამ სოფელი დაიხსნან. მთელი სოფელია თურმე პატრონი ამ დუქნისა და ამორჩეულთ კაცებს აბარიათ საქმის საწარმოებლად. ამ ამორჩეულთაგან შემდგარია მზრუნველობა „ზემსკის ნაჩალნიკის“ თავ-მჯდომარეობის ქვეშ. მზრუნველობა განაგებს ყოველს საქმეს დუქნისას და საჭიროების მიხედვით შეიკრიბება ხოლმე დუქნის აღებ-მიცემობის საჩხრეკად და გასარკვევად. ანგარიშების შესამოწმებლად სამგვარი დავთრები აქვთ: წილისა, დახლისა და საქონლისა (товаръ). ანგარიშის დღეს მზრუნველობა გადაზომავს და გადასწონს ხოლმე საქონელს, რაც-კი დუქანშია, ან სხვა დუქნის კუთვნილს საწყობში სადმე. მას შემდეგ სთვლიან დახლსა და ნისიას, აგრეთვე იმას, რაც დადებულ ფასით (Наложенный платежъ) გაგზავნილია სადმე. რაც საქონელი აღმოჩნდა, იმას ფულად ანგარიშობენ იმოდენად, რამოდენადაც ნაყიდია. ნისიებს, ნაღდს ფულს და აღმოჩენილ საქონლის ფასს ერთად შეჰკეცენ, აქედგან გამოდიან დუქნის ვალებს და დუქნის თავნს ფულს და ამ გზით გამოჰყავთ წაგება, ან მოგება დუქნისა. თავნი ფული ჰქონიათ სულ 1815 მანეთი. ამაში სამინისტროსაგან ნასესხია 1000 მანეთი და 815 მანეთი შეტანილია ამ დაწყობილობის თანამგრძნობთაგან. ერთის წლის განმავლობაში 9094 მანეთის და 35 კაპ. აღებ-მიცემობა ჰქონიათ. გამოდის რომ თავნი ფული ერთს წელიწადში ხუთჯერ მეტად გადუბრუნებიათ. ხარჯ-გამოუკლებელი მოგება დარჩენიათ 1646 მან. 55 კაპ. ესე იგი, ასის თავზე 91, წმინდა მოგება ხარჯს რომ გამოვიდეთ, დარჩენიათ 543 მანეთი და 89 კაპ., ჰნუ ასის თავზე 30. საქმე ცოტაოდენად უჭირდება დუქანს მარტო იმით, რომ შინაურ მოხელსაქმენი (Кустари) მიიტანენ თუ არა დუქანში თავის ნახელსაქმევს გასასყიდად, ნახევარს ფასს მიტანილისას ნაღდ ფულად თხოულობენ მაშინვე, როდესაც დღის დახლი არ აღემატება ხოლმე 30—40 მანეთს და აქედამაც საჭიროა მანეთში ორი აბაზი დუქნის მოვალეების გასასტუმრებლად მიიმართოს. (პრავ. ვეს.)

— უცნაურს ახალს ამბავს მოგვითხრობს გერმანული „ფრანკფურტის გაზეთი“. მას მითამ მოსვლია დიდის სიფრთხილით და საიდუმლოებით გადმოცემული შენიშვნა იმის თაობაზედ თუ—ვინ არის კანონიერი მემკვიდრე ინგლისის სახელმწიფო ტახტისა—შემდეგ ეხლანდელის დედოფლის ვიქტორიისა. რედაქცია ხსენებულ გაზეთისა ირწმუნება რომ იგი შენიშვნა მოგვივიდა ერთის სატახტო ქალაქიდამ, ხოლო ლონდონიდამ-კი არაო. რედაქცია ამ შენიშვნას ხუმრობად მიიჩნევდაო, რომ ინგლისში დღესაც სხვა-და-სხვა აზრი არ დადიოდეს ამ მემკვიდრეობის თაობაზედაო. მაგალითებრ, დღესაც იაკობიტები იღვწიან სტიუარტის შთამომავლობას დაუბრუნონ ინგლისის ტახტიო და ეხლანდელს სამეფო გვარეულობას ჩამოართონო.

ესეა თუ ისე, იმ ხსენებულ რედაქციას იგი შენიშვნა გამოუქვეყნებია და აი რასა ვკითხულობთ: ეხლანდელ დედოფლის ვიქტორიის შემდეგ მემკვიდრედ უნდა ცნობილ იყოს არა პრინცი უელისა, როგორც დღეს არის, არამედ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი II. აქამდინ ეგონათო, ამბობს იგი შენიშვნა: რომ ვაჟი-შვილი, ქალი-შვილს წინ უსწრობს მემკვიდრეობაში. ინგლისში ეგრე როდიაო. იქ მემკვიდრეობის კანონი სახელმწიფო გვარეულობისა არ არჩევსო ვაჟი-შვილს და ქალი-შვილსო ერთმანეთში, კანონი მარტო შვილს იხსენიებსო და შვილად საცნობელია ქალიცა და ვაჟიცაო. ამ სახით გამოაქვეყნა აზრი ოქსფორდის პროფესორმა ფრუდმაო და ამ აზრს მხურვალედ ხელი ჩაავლეს ლორდმა ლანსდელმა, ლორდმა მეთსვენმა და ბოლოს ხანებში ერთის ჟურნალის გამომცემელმა ვილიამ სტედმაო. ამ რიგად ახსნილ კანონის ძალით ქალი-შვილი ეხლანდელ დედოფლის ვიქტორისა და დედა იმპერატორის ვილჰელმისა რომელიც პრინც უელსისაზე ერთის წლის წინად არის დაბადებული, ესე იგი, 1840 წელს და პრინცი უელსისა-კი 1841 წ. უნდა ცნობილ იქმნას ინგლისის ხელმწიფედ ვიქტორიის შემდეგ როგორც უფროსი და პირმშო შვილი და მისი მემკვიდრე ხომ ვილჰელმი არისო. დედა ვილჰელმისა ეხლა ხმას არ იღებს ამის თაობაზედაო, იქნება იმიტომაცაო, რომ გვირგვინი უნდა მის შემდეგ ვილჰელმზე გადავიდეს და ჰფიქრობს ამ ორის უშველებელის სახელმწიფოს გაერთება შეუძლებელიაო. ამიტომაც ვილჰელმის დედას, იმპერატრიცა ფრიდრიჰს უთქვამს, რომ თუ მიწვეულ იქნება ინგლისის სამეფო ტახტზე ასასვლელად, მემკვიდრეობას არგუნებს თავისს უმცროსს შვილს ჰენრიხსაო. იმპერატორი ვილჰელმი კი იმისთანა კაცია, რომ არავის დაუთმობს მემკვიდრეობას და მაგრად სდგას იმაზე, რომ იგი უფროსი შვილია ვიქტორიის უფროსის შვილისა და ინგლისის მემკვიდრეობის კანონით დედიშემდეგ იგია კანონიერი მემკვიდრეო... ასეს თუ ისე, ამბობს ხსენებული შენიშვნა: ვიქტორიის შემდეგ—ღმერთმან-კი დიდ ხანს აცოცხლოსო—ინგლისში ბევრი მოულოდნელი რამ ამბავი მოხდებაო. (მ. ვ.).

— საფრანგეთის სამხედრო შტაბის მაიორმა მოლარმა გამოიკვლია,—რამოდენად გაძლიერდა რიცხვი ჯარებისა ევროპაში მას შემდეგ, რაც პრუსსიამ 1866 წლიდამ ქვეყნების დასაპყრობლად ფეხი გამოდგა. 1869 წ. შეეძლოთ გამოეყვანათ საომრად ჯარი: საფრანგეთს—1,350,000 კაცი, გერმანიას—1,700,000; რუსეთს—1,100,000; ავსტრ-უნგრეთს—750,000; იტალიას—570,000; ინგლისსა—342,000; ისპანიას—300,000; ოსმალეთს—320,000; შვეციას და ნორვეგიას—170,000.

1892 წელს კი საომრად მომზადებული ჯარი ჰყოლიათ: საფრანგეთს—2,500,000 კაცი; გერმანიას—2,417,000; რუსეთს—2,451,000; ავსტრ-უნგრეთს—1,500,000; იტალიას—1,514,000; ინგლისს—450,000; ისპანიას—450,000; ოსმალეთს—700,000; შვეცია-ნორვეგიას—270,000.

1893 წელს შემოიღეს ახალი წესი ჯარების მოსაწვევად. ამ წესის გამო საომრად შეუძლიანთ გამოიყვანონ: გერმანიას—5,000,000 კაცი, საფრანგეთს—4,300,000; რუსეთს — 4,000,000: იტალიას—2,230,000; ავსტრ-უნგრეთს—1,960,000; ოსმალეთს—1,500,000; ისპანიას — 800.000; ინგლისს—602,000; შვეცია-ნორვეგიას—510,000. წვრილმა სახელმწიფოებმაც ჯარები მოიმატეს ამის კვალობაზედ: ბელგიამ, რომელსაც 1869 წ. 95,000 კაცი ჰყვანდა, ეხლა აიყვანა რიცხვი მხედრობისა 258,000 კაცამდე; დანიამ 45,000-დამ 91,000-მდე, შვეიცარიამ—150,000-დამ 489,000-მდე.

1870 წ. მუდმივი მხედრობა მშვიდობიანობის დროს მთელის ევროპისა 2,000,000-ზედ ბევრად ნაკლები იყო, ეხლა-კი თითქმის 3,500,000 კაცია. 1870 წ. საომრად შეეძლო გამოეყვანა მთელს ევროპას 7,000,000 ჯარის კაცი, ეხლა-კი, თუ ომი ასტყდა, შეუძლიან გამოიყვანოს 22,000,000-ზე მეტი. (რ. ბ.)

## უცხოეთი

**ოსმალეთი.** ოფიციოზურს „ნორდ“-ში დაბეჭდილია შემდეგი: „ინგლისისა და ავსტრიის გაზეთებმა ბოლოს დროს ისევ დაიწყეს ლაპარაკი, ვითომც რუსეთს განზრახვად ჰქონდეს ოსმალეთის იმ პროვინციების დაჭერა, სადაც სომხები ცხოვრებენო. ეს ზღაპარია. რუსეთს არასოდეს არ ჰქონია ამგვარი განზრახვა. იგი საჭიროდაც არ სთვლის ოსმალეთის პროვინციებში ჯარების გაგზავნას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ თვით ოსმალეთს საკმაო ძალა აქვს—დაამშვიდოს აღელვებული ქვეყანა. ოსმალეთის პროვინციების დამშვიდებას და წესიერების ჩამოგდებას ხელს უშლიან აგენტები და ემისარები, რომელთ გზავნიან ლონდონის სომეხ-ინგლისთა კომიტეტები“.

**ოსმალეთი.** გაზ. „ტაიმს“-ს სწერენ, რომ მთავარ-ვეზირად ნამყოფ ქიამილ ფაშის ალეპოს გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა სასჯელიაო. სულთანმა ქიამილ-ფაშა მიტომ დასაჯა რომ უკანასკნელმა სამსახურის უარი თქვა იმის გამო, რომ სულთანი სომხების შესახებ გამოურკვეველ პოლიტიკას ადგია. სულთანმა ბრძანა, რომ ქიამილ-ფაშა დაუყონებლივ წავიდეს ალეპოს, თვის ახალი თანამდებობის აღსრულებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქიამილი ბრონხიტით გახდა ავათ და ექიმებმა მისთვის მგზავრობა შეუძლებელად სცნეს, სულთანის ბრძანებით მისი ბარგი გაიტანეს გემზე «ტალია», რომელიც წასასვლელად მზად იყო. მხოლოდ მაშინ, როცა ექვსმა ექიმმა ერთხმად განაცხადა, რომ 72 წლის ქიამილი მგზავრობას ვერ გადიტანსო ავადმყოფობის გამო, სულთანმა ნება დართო ქიამილის გაგზავნა რამდენიმე ხნით გადიდვას.

**იტალია.** 28 ოქტომბერს რომში დაიწყეს საქმის გარჩევა კრისპის წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ. უმთავრეს დამნაშავედ დასახელებულია გიუგა, რომელმაც განიზრახა კრისპის სიკვდილი და რომელსაც კიდევაც ნაფიც მსაჯულთაგან სასჯელი აქვს გარდაწყვეტილი. მასთან ერთად სამართლდებიან რამდენიმე მისი ამ შეთქმულობაში ამხანაგები.

**საფრანგეთი.** კარმოს მუშებმა გარდასწყვიტეს საკუთარი შუშის ქარხანა გახსნან, რომ ამით შეთქმულთ სამუშაო გაუჩინონ, იმ შეთქმულთ, რომელთა უკან მიღებაზედაც რესსეგიემ უარი განაცხადა. სოციალისტთა დეპუტატებმა ხელის მოწერა გამართეს იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც ქარხნის მოწყობა-აშენებას დასჭირდება. ყველაზედ უხვი შეწირულება როშფორმა წარადგინა. როშფორმა ჟორესი ნახა პარლამენტში და განუცხადა, რომ ერთმა უცნობმა ქალმა 100,000 ფრანკი გადმომცა მუშათა საქმის ფონდისათვისაო. ჟორესი გახარებული მოეხვია როშფორს. როგორც ხმა ისმის, ქარხანას სულ 300,000 ფრანკი თურმე დასჭირდება და იმედი აქვთ ეს თანხა სულ რამდენიმე დღის განმავლობაში შეკრიბონ. მუშათა ქარხანა კარმოს ნაცვლად სამხრეთ საფრანგეთის რომელსამე მიდამოში იქნება გახსნილი. პირველად ამ ქარხანაში ორი ჩამოსასხმელი ქურა იმუშავებს. საქმის წარმოება თვით მუშათა ხელში იქნება. შეთქმულობის კომიტეტმა უარი სთქვა ერთის ფულის პატრონის წინადადებაზედ, რომელმაც განუცხადა, თუ გსურთ ფულს მოგცემთ ქარხნის ასაშენებლადაო.

ამ დღეებში საფრანგეთის პარლამენტში მოხდა არჩევნები ვიცე-პრეზიდენტისა და მდივნისა. ამ არჩევნების გამო მოხდა ბრძოლა ზომიერ რესპუბლიკელთა და რადიკალთა შუა. რადიკალებმა და სოციალისტებმა მოითხოვეს, რომ არჩევნები ივნისამდის იქმნას გადადებული, მაგრამ ზომიერები არ დასთანხმდნენ. უყარეს კენჭი ამ საკითხს და 293 ხმით წინააღმდეგ 237 ზომიერებმა გაიმარჯვეს, ესე იგი არჩევნები მომავალ ორშაბათისათვის დაინიშნა... დაასახელეს კანდიდატები, მაგრამ საჭირო უმრავლესობა ორჯელ კენჭის ყრის დროს არავის ხვდა, მესამედ-კი არჩეულ იქმნენ: ვიცე-პრეზიდენტად ოპპორტუნისტი პუანკარე, მდივნად—ზომიერი რესპუბლიკელი ერნესტ კარნო, შვილი შარშან ზაფხულს მოკლულის პრეზიდენტისა. არჩევნების უკანასკნელ დღეს რადიკალებმა სრულიად არ მიიღეს მონაწილეობა კენჭის ყრაში. ამ რიგად რადიკალურ მთავრობის პარტიები ერთხელ უკვდამარცხდნენ.

**ავსტრ-უნგრეთი.** ზაგრებში იქაურ უნივერსიტეტის 52 სტუდენტის გასამართლება დაიწყეს. სტუდენტებს ჰბრალდებათ უნგრეთის დროშის შეურაცხყოფა, რომელიც ამ უკანასკნელად ზაგრებში იმპერატორის ყოფნის დროს მომხდარა; ჰბრალდებათ აგრეთვე, ვითომ ეროვნულს მტრობასავრცელებდნენ და აქეზებდნენ. ბრალდებულნი სასამართლოს წინაშე წითელი მიხაკის ყვავილებით წარსდგნენ,—იმ ნიშნით, რომელიც ხორვატთა ნაციონალურ პარტიასა აქვს მიღებული. ეროვნულად ბრალდებულნი ასე დანაწილდებიან: 5 დალმატელია, 3 ბოსნიელი, 1 ისტრიიდგან, დანარჩენნი — ადგილობრივნი ხორვატნი და სლოვინები არიან. როდესაც ბრალდებულნი სასამართლოს დარბაზში შევიდნენ, მაღლიდგან ქალებმა ყვავილები გადმოაყარეს.

**ინგლისი.** „პალ-მალ გაზეთ“-ში დაბეჭდილია დეპეშა რომიდგან, რომელიც იუწყება, რომ იტალიის ესკადრამ ბრძანება მიიღო ინგლისის ესკადრას შეუერთდეს სალონიკში, რათა ევროპიელნი დაიცვას და თუ საჭიროება მოითხოვს ინგლისის ადმირალთან ერთად დემონსტრაცია მოახდინოს, ან-და პირდაპირ მოქმედება დაიწყოსო. თუმცა ამ საგნის შესახებ მცოდნე კაცებმა არა იციანრა, მაინც დღევანდელ გარემოებათა შორის ადვილი მოსალოდნელია ასეთი ბრძანება გამოსულიყოს.

**ბულგარია.** ავსტრიის გაზეთები სრულიად უარ-ჰყოფენ ამ წინაზედ ერთის ფრანგულის გამოცემის-მიერ გავრცელებულს ხმას, ვითომ სოფიაში განზრახვა ჰქონდეთ მეორე დეპუტაცია გაგზავნონ რუსეთში, უფრო დიდი, რომელშიაც უნდა იყვნენ წარმომადგენელნი მთლად ბულგარიის ერისა. ავსტრიის გაზეთების სიტყვით, დღევანდლამდე სოფიაში მხოლოდ ერთს საგანს თურმე არჩევენ —გამოგზავნონ ერთი რწმუნებული, რომელიც უნდა იყოს წარმომადგენელი როგორც პრინცის ფერდინანდისა, ისე მთავრობისა.

## ბულგართა პატრიოტი

ლევსკი.

გაზ. „რუს. ვედ.“-ს ბულგარიიდამ სწერს თავისი კორესპონდენტი: „ცოტა ხანი არ არის, რაც მე სოფიაში ვცხოვრობ, მაგრამ არც ერთ დღესასწაულზე არ მინახავს ამდენი ხალხი, რამდენიც დაესწრო „ბულგარიის თავისუფლების მოციქულის“ ვასილი ლევსკის ძეგლის დადგმას. კარგა ხანია ბულგარიის ერი ელოდებოდა ამ დღესასწაულს. კარგა ხანია დამზადებული ძეგლი ტილოში შეხვეული იდგა იმ ალაგას, სადაც 1873 წელს ოსმალეთის ჯალათებმა ჩამოარჩეს ბულგარიის თავისუფლებისათვის მებ-

რძოლი. არა ერთხელ ალუძრავთ ლაპარაკი ძეგლის კურთხევის შესახებ, მაგრამ ბულგარიის მთავრობა უფრო „კაი დროს ცქებდა". 22 ოქტომბერს აკურთხეს ძეგლი. ძეგლის კურთხევას დაესწრო აუარებელი ხალხი, პრინცი ფერდინანდი, ბულგარიის ინტელიგენცია, ურიცხვი დეპუტაციები, წარმოგზავნილნი პროვინციებიდამ და მოხელენი.

ვინ იყო ეს ვასილი ლევსკი? იკითხავთ თქვენ. ვასილი ლევსკი, ანუ ვასილი ივანოვი (ლევსკი მას რუბენ კარაველოვმა უწოდა, რადგანაც იგი ძლიერ ღონიერი და მოხერხებული იყო.) იყო ბულგარიის ერთი პატრიოტთაგანი, მან დაჰბადა ბულგარიაში მოძრაობა სამშობლოს განთავისუფლებისათვის და სიცოცხლე შესწირა ამ საქმეს. ის ეკუთვნის ბულგარიის იმავე მხარეს, საიდამაც გამოვიდა მეორე ბულგარიის გმირი და პოეტი ხრისტო ბოტევი და საიდამაც გამოვიდა ბულგარიის ეხლანდელი გამოჩენილი პოეტი ივანე ვაზოვი. ლევსკი დაიბადა 1837 წელს ქალაქ კარლოვში. პატარაობისას ემზადებოდა სასულიერო მოღვაწეობისათვის და კიდეც იყო ერთს მონასტერში თავისს ბიძა მონასტრის წინამძღოლთან მწირად, რისთვისაც მას უწოდეს მეორე სახელი—დიაკონი. ამ სახელს ეძახიან მას ბულგარიაში დიდი და პატარა. მისი ძალ ღონით სავსე ბუნება, ძლიერი ხასიათი ვერ შვნეობდა მონასტრის სენაკში ცხოვრებას. მას ვერ აკმაყოფილებდა მშვიდი, თუმცა სამშობლოსათვის სასარგებლო მონასტრის ცხოვრება. მაშინ ბულგარიაში მონასტრებიდამ ვრცელდებოდა განათლება. ლევსკის უფრო ენერგიული მოქმედება სწყუროდა, მისი ბუნება საბრძოლველად მიისწრაფოდა. 1865 წელს დაანება მონასტერს თავი და მივიდა ქალაქ ბელგრადში. აქ მაშინ იყვნენ ბულგარიის ემიგრანტები, რომელნიც ამზადებდნენ ამბოხებას სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ლევსკი მათში ჩაერია. დაუახლოვდა რუბენ კარაველოვს, რომელსაც ეძახდნენ „ბულგარიის განთავისუფლების მაძინს". მის გავლენის ქვეშ გარდასწყვიტა შესწიროს თავი სამშობლოს განთავისუფლებას და იბრძოლოს ოსმალთა წინააღმდეგ. შეირიცხა ჯარის წინამძღოლ პანაიოტას დასში და მათთან ერთად შევიდა ბულგარიაში. აქ 1866 წელს იღებდა მონაწილეობას ყოველ შეტაკებაში ოსმალებთან და ყოველთვის გმირულად მოქმედებდა. როდესაც აქედამ ისევ ბელგრადში დაბრუნდა, ახლა ჩაირიცხა «ბულგარიის ლეგიონში», რომელსაც ამზადებდა სერბიის მთავრობა, რადგანაც ელოდა, ოსმალეთთან ბრძოლას. ლევსკის ეხლა უკვე გმირის და თავ-განწირულის მებრძოლის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მოსალოდნელი ომი აღარ მოხდარა, რადგანაც ევროპის დიპლომატია ჩაერია საქმეში და ლეგიონი დაიშალა. მაშინ ლევსკიმ და მისმა მეგობრებმა კარაველოვმა, ანგელ კონჩევმა და სხვათ განიზრახეს თვით ეტვირთნათ საქმე და საიდუმლოდ მოემზადებინათ ამბოხება თვით ბულგარიაში. ეს საქმე უნდა ეწარმოებინა საზღვარ-გარეთ შემდგარს კომიტეტს, რომელშიაც უმთავრესი ადგილი კარაველოვს ეჭირა. ლევსკიმ არ ისურვა საზღვარ-გარეთ უშიშრად ყოფნა და წავიდა ბულგარიაში. აქ იგი ხუთის წლის განმავლობაში დადიოდა სოფლებში, ქალაქებში, მონასტრებში, მთებში და ყველგან თავისის აღგზნებულის ქადაგებით იძენდა თანამგრძნობელთ, აგროვებდა ფულს, ქლეტავდა ოსმალეთის შპიონებს და გაოსმალებულ თავისს თანამემამულეთ. არა ერთხელ ყოფილა ხიფათში, არა ერთხელ ეკიდა ბეწვზედ მისი სიცოცხლე, მაგრამ ყოველთვის თავისის გამბედაობით და მოხერხებით უვნებლად რჩებოდა, იმ დროს, როდესაც სხვა მის ადგილას ათჯერ და ოცჯერ წაიბორწიკებდა და გაებმოდა გამოუსვლელ მახეში. მთელი ოსმალეთის პოლიცია იმას დასდევდა. მისი თავი დიდ ფასად იყო დაფასებული, მაგრამ ვერავინ ვერ დაიჭირა იმ დრომდის, ვიდრე ერთმა ბულგარელმა მღვდელმა არ გასცა. მისს განსასჯელად კერძო კომისია იყო დანიშნული. კომისიამ ჩამოარჩობა მიუსაჯა. აი მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მან უთხრა მღვდელს სააღსარებოდ მოსულს სიკვდილით დასჯის წინა დღეს. „შენ მე ცოდვების შესახებ მკითხავ? წინაშე ღვთისა და თავისუფლებისა მე არ მიმიძღვის არავითარი ცოდვა. მაგრამ წინაშე ოსმალებისა და ბულგარელ გაოსმალებულებისა-კი დიდი ცოდვა მიმიძღვის. ამ ცოდვების პატიებას არ ვითხოვ და არც ვეძებ. ხვალ მე ჩამომარჩობენ და აი ჩემი უკანასკნელი თხოვნა, ჩემო სულიერო მამავ! თუ თქვენ გკითხონ რამე ვასილი ლევსკის შესახებ, უთხარ, რომ ის მოკვდა ბულგარიის თავისუფლებისათვის"...ამ პატრიოტის ცხოვრებამ, აღსავსემ მრავალი გმირული მოქმედებით და ხიფათით, ამგვარმა სიკვდილმა შემოსეს ვასილი ლევსკის სახელი გმირული შარავანდედით დაჰგახადეს იგი უსაყვარლეს და უპირველეს გმირად ბულგარიის ერის გმირთა შორის."

## სასამართლოს მატიანე.

როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ე სწერს, მალე ტფილისის სასამართლო პალატაში გაირჩევა საქმე გაზ. „სევერნი კავკაზ"-ის რედაქტორის ნაცვლად ვექილის ესსეევისა, რომელსაც დიფფამაცია თურმე ჰბრალდება. ეს საქმე კოზლოვო-ვლადიკავკაზის რკინის გზის ჟანდარმთა გამგეობის უფროსმა აღძრა; უფროსი სცნობდა შეურაცხყოფილად უველა თავისს ხელქვეითს იმ წერილისა გამო, რომელიც მისს გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა სათაურით «ჩვენი რკინის გზათა წესიერება» და „რკინის გზათა ბატონები". სხვათა შორის, ამ წერილებში ნათქვამი იყო, რომ ერთმა პოლიციის მოხელემ ვიღაც მგზავრს ყური აუწია, ხოლო მეორემ უყურადღებოდ დასტოვა სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოსის ხორენ სტეფანეს საჩივარი, რომელიც რკინის გზის კონტროლერს შეეხებოდა და არავითარი ყურადღება არ მიაქცია მგზავრის ქალის საჩივარს იმაზედ, რომ ეს უკანასკნელი გაძარცვათო.

## თეატრის მატიანე.

ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია გუცკოვისა, ლექსად ნათარგმნი ბ. ი. ბაქრაძის-მიერ „ურიელ აკოსტა". ეს ტრაგედია დაბეჭდილი იყო „თეატრში", ზოგიერთი სცენებიც ამ რამდენიმე წლის წინად წარმოდგენილნი იყვნენ და ამიტომ პიესის შინაარსი აქ არ მოგვყავს.

„ურიელ აკოსტა" იმ პიესებთაგანია, რომელთაც „საგასტროლო" პიესებს უწოდებენ: პიესაში მხოლოდ ერთი უმთავრესი როლია, თვით ურიელისა, დანარჩენი როლები-კი მხოლოდ პიესის გმირის დამახასიათებელი მასალაა და რომ პიესამ მაყურებელი სრულად დააკმაყოფილოს, საჭიროა თვით ურიელის როლი უნაკლულოდ შესრულდეს და დანარჩენი არტისტები მწყობრად, სრულის ანსამბლით დაეხმარონ ურიელის როლის ამსრულებელს.

ურიელის როლს ასრულებდა ბ-ნი ალ. მესხიშვილი. იგი საუცხოვოდ თამაშობდა და განსაკუთრებით კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში. ხელოვნურის გრიმით, მიხვრა-მოხვრით და ლექსის გრძნობიერად კითხვით ბ. მესხიშვილს საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა, ხოლო მისი ავადმყოფი ხმა, სამწუხაროდ, შთაბეჭდილებას ცოტა აგრილებდა. დანარჩენი არტისტები ქ. ავალიშვილისა (ივდითი) და ბ. კანდელაკის (რაბინი) გარდა,—რომელნიც ჩვეულებრივისამებრ სინიდისიერად მოექცნენ თავიანთ პატარა როლებს და თავით ბოლომდე შედარებით კარგები იყვნენ,—მეტად სუსტნი იყვნენ; ზოგმა-კი მაგალითად ბ. ბ. ყიფიანმა (დე სილვა) და სვიმონიძემ (იოხაი) როლები სრულიად არ იცოდნენ, ლექსს ისე [illegible], რომ [illegible] უძნელდებოდა აზრის გაგება.

საზოგადოდ პიესა საკმაოდ კარგად არ იყო მომზადებული: როლების უცოდინარობის გარდა არტისტებს არ ჰქონდათ მიცემული შესაფერი კილო, იგი მუდამ იცვლებოდა და ბოლომდის ვერ გაიყვანეს; არტისტებმა მტკიცედ არ იცოდნენ, როდის შემოსულიყვნენ და როდის გასულიყვნენ სცენიდამ: პატარას, მაგრამ კარგს როლს—იოველისას—ასრულებდა გამოუცდელი არტისტი, რომელმაც არ იცოდა, სად და როგორ დამდგარიყო; სტატისტები უსწორ-მასწორ დადიოდნენ სცენაზე და არ იცოდნენ რა ექნათ; დე სილვას მოსამსახურე (ბ. საფაროვი) უდროოდ შემოვიდა და უდროოდ დაიწყო ლაპარაკი და სხვა-და-სხვა. ეს შეიძლება წვრილმანი იყოს, მაგრამ ანსამბლს ხელს უშლის, ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო სრულისა და ბეჯითი რეპეტიციებით შეიძლება ყოველი ამის აცილება.

საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო, მაგრამ ვინც დაესწრო, პიესით კმაყოფილი დარჩა. თეატრის ადმინისტრაცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საზოგადოება მიიზიდოს: რეპერტუარიც შეავსო და უაზრო პიესების და ვოდევილების მაგიერ ახალს და აზრიან პიესებს სდგამს, არტისტებიც საუკეთესონი ჰყავს მოწვეული, მაგრამ ქართველი საზოგადოების ყურადღება-კი ჯერ კიდევ ვერ მიიზიდ ქართულ თეატრის მიმართ.

ს—ი.

## შემოწირულება.

რედაქციამ მიიღო ჩვენის პედაგოგის ი. გოგებაშვილისაგან 5 მან. თავ. რაფიელ ერისთავის სახელობაზედ დაარსებულ ფონდისათვის.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ნინო მგელაძისას, რომელმაც შემოსწირა ლეხაურის მომავალ წიგნთსაცავისათვის წიგნების სასყიდლად ექვსი მანეთი და როცა წიგნთ-საცავი დაარსდება, იმ დროისათვის დახმარება აღგვითქვა. აქამომდე უნდა დაარსებული იყო წიგნთ-საცავი ლეხაურში, რადგან მკითხველი ბლომად არის, მაგრამ დღემდის არ გვყავდა იმისთანა კაცი, რომელსაც შესძლებოდა ამ მძიმესს საქმის გაძღოლა. წიგნთ-საცავის ხელმძღვანელობა სოფელში არავის არ შეუძლია ჩემის აზრით, თუ არა მასწავლებელს. ლეხაურის სკოლა ეს ერთი ხანია რაც ორ კლასიანად გადაკეთდა: მასწავლებელი ორი არის და იმედია ამ ორში ერთ-ერთს შეეძლება ამ საქმის გაძღოლა. ამასთანავე მივმართავ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შესტკივათ გული ლეხაურისათვის, რომ შემოსწირონ წიგნთ-საცავს, გინდა ფულით, გინდა წიგნებით. ეს წიგნები იქნება ქუთაისის სკოლის მასწავლებელ რაჟდენ კონტრიძესთან და ვისაც სურს ისარგებლებს. ბ. რაჟდენ კონტრიძეს ახლაც აქვს სამოც ცალამდე ქართული წიგნი და თითქმის ყველამ წაიკითხა ვისაც სურდა.

სამსონ ვაშაყმაძე.

## პეტერბურგის ბირჟა, 7 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 209 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | $100^3/_8$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | $99^1/_2$ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე; კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბანინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. ბ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ა. ბ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—46).

მიწა სახლებითურთ 20 ნაკვეთი.

შენობები მოთავსებულია 25 და 50 ოთხ-კუთხს საჟენზედ. თექვსმეტი მათგანი იჯარით არის მიცემული. მეიჯარადრე მოთხოვნისათანავე თავს დაანებებს, ოთხი 25,120 და 800 საჟენზედ თავისუფალია. საზამთროს მოედნის ზევით. ფასი საჟენზედ 2, 3,4—7 მან. ფული შეუძლიან ნაწილ-ნაწილ გარდაიხადოს მსყიდველმა. ამავე მიწაში არის სამტვრევი ქვა და წყარო. ჰყიდის მემკვიდრე ივანე ივანოვი, ავჭალის ქუჩა, სახლი № 50. (3—2).

ი ს ყ ი დ ბ ა

ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d' amour)

რომანი

პოლ ბურჟესი.

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი 70 კაპ.

ვინც 5 ცალზედ მეტს დაიბარებს პირ-და-პირ მთარგმნელისაგან, 20% დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбэ". Гр. Кипшидзе.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

მეფე ირაკლის

გ მ ი რ ე ბ ი

ფასი სამი შაური.

წიგნის მაღაზიებს და ვინც ათ ცალზედ მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.


Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Ноября 1895 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.